ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №740831

ნომერი: AR1138482

თარიღი : 11.06.2013

გაცემის თარიღი : 14.06.2013

გაცნობის თარიღი : 14.06.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, კაიროს ქუჩა #1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დენის დიდენკო პ/ნ 12002001010
- თბილისი, გ. ლორთქიფანიძის ქ. # 1

ორგანიზაცია:
- ჰოსპიმედ ჯორჯია კოდი: 206335704

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კაიროს ქუჩა #1–ში, დროებით, მშენებლობის საჭიროებისათვის სასაწყობო დანიშნულებით საზღვაო კონტეინერის/ების განთავსებას, გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ №464121 ბრძანებით შეთანხმდა და გაიცა მშენებლობის ნებართვა სასაწყობო-საოფისე შენობის არქიტექტურულ პროექტზე, ამისათვის აღნიშნული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი თავისთავად უნდა მოიცავდეს მშენებლობის საჭიროებისათვის დროებით შენობა/ნაგებობების განთავსებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის დროებითი შენობა–ნაგებობების განთავსებასთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge